საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

ბრძანება №71

2013 წლის 19 სექტემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის N98 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,რ'' ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული ,,საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.''.
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი **ხათუნა გოგალაძე**

დანართი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

მუხლი 1. გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსი

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

ა) უმაღლესი განათლება ზუსტ და საბუნებისმეტყველო ან ტექნიკური მიმართულებით (სასურველია ხარისხის ქონა შესაბამის დარგში);

ბ) გარემოსდაცვითი კუთხით საჯარო სამსახურში ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირში მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილება, სასურველია ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება;

გ) მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

დ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,გარემოს დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის N98 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის N24 ბრძანებით დამტკიცებული სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის დებულების ცოდნა;

ე) სასურველია ინგლისური ენის (ვერბალური კომუნიკაციის დონეზე) და რუსული ენის ცოდნა;

ვ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (MS office Word - კარგად, Excel-კარგად, Power Point - კარგად) ცოდნა.

მუხლი 2. გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის ნებართვების სამმართველოს უფროსი

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის ნებართვების სამმართველოს უფროსი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

ა) უმაღლესი განათლება ზუსტ და საბუნებისმეტყველო, იურიდიული ან ტექნიკური მიმართულებით;
ბ) გარემოსდაცვითი კუთხით საჯარო სამსახურში ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირში მუშაობის არანაკლებ 4-წლიანი გამოცდილება;
გ) მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
დ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,გარემოს დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის №31 ბრძანებით დამტკიცებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 14 მაისის №28 ბრძანებით დამტკიცებული ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის №32 ბრძანებით დამტკიცებული დამოუკიდებელ ექსპერტთა რეესტრის შესახებ დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის №33 ბრძანებით დამტკიცებული დამოუკიდებელ ექსპერტთა შრომის ანაზღაურების წესის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 3 ივნისის №38 ბრძანებით დამტკიცებული გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს საქმიანობის წესის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის N98 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის N24 ბრძანებით დამტკიცებული სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის დებულების ცოდნა;
ე) სასურველია სამართლებრივ აქტებზე მუშაობის გამოცდილება;
ვ) სასურველია ინგლისური ენის (ვერბალური კომუნიკაციის დონეზე) და რუსული ენის ცოდნა;
ზ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (MS office Word - კარგად, Excel-კარგად, Power Point - კარგად) ცოდნა.

მუხლი 3. გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის ნებართვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის ნებართვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:
ა) უმაღლესი განათლება ზუსტ და საბუნებისმეტყველო, იურიდიული ან ტექნიკური მიმართულებით;
ბ) გარემოსდაცვითი კუთხით საჯარო სამსახურში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში ან კერძო სექტორში მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება;
გ) მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
დ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,გარემოს დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის №31 ბრძანებით დამტკიცებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 14 მაისის №28 ბრძანებით დამტკიცებული ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის №32 ბრძანებით დამტკიცებული დამოუკიდებელ ექსპერტთა რეესტრის შესახებ დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის №33 ბრძანებით დამტკიცებული დამოუკიდებელ ექსპერტთა შრომის ანაზღაურების წესის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 3 ივნისის №38 ბრძანებით დამტკიცებული გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს საქმიანობის წესის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის N98 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის N24 ბრძანებით დამტკიცებული სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის დებულების ცოდნა;
ე) სასურველია ინგლისური ენის (ვერბალური კომუნიკაციის დონეზე) და რუსული ენის ცოდნა;
ვ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (MS office Word - კარგად, Excel-კარგად, Power Point - კარგად) ცოდნა.

მუხლი 4. გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის ნებართვების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის ნებართვების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:
ა) უმაღლესი განათლება ზუსტ და საბუნებისმეტყველო ან ტექნიკური მიმართულებით;
ბ) გარემოსდაცვითი კუთხით საჯარო სამსახურში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში ან კერძო სექტორში მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება;
გ) ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
დ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,გარემოს დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის №31 ბრძანებით დამტკიცებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 14 მაისის №28 ბრძანებით დამტკიცებული ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის №32 ბრძანებით დამტკიცებული დამოუკიდებელ ექსპერტთა რეესტრის შესახებ დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის №33 ბრძანებით დამტკიცებული დამოუკიდებელ ექსპერტთა შრომის ანაზღაურების წესის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის N98 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის N24 ბრძანებით დამტკიცებული სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის დებულების ცოდნა;
ე) სასურველია რუსული ენის ცოდნა;
ვ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (MS office Word - კარგად, Excel-კარგად, Power Point - კარგად) ცოდნა.

მუხლი 5. გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის ანალიტიკური სამმართველოს უფროსი
გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის ანალიტიკური სამმართველოს უფროსი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:
ა) უმაღლესი განათლება ზუსტ და საბუნებისმეტყველო, ტექნიკური ან ჰუმანიტარული მიმართულებით;
ბ) გარემოსდაცვითი კუთხით საჯარო სამსახურში ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირში მუშაობის არანაკლებ 4-წლიანი გამოცდილება, სასურველია ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება;
გ) მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
დ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,გარემოს დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის №31 ბრძანებით დამტკიცებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 14 მაისის №28 ბრძანებით დამტკიცებული ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის №32 ბრძანებით დამტკიცებული დამოუკიდებელ ექსპერტთა რეესტრის შესახებ დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის №33 ბრძანებით დამტკიცებული დამოუკიდებელ ექსპერტთა შრომის ანაზღაურების წესის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 3 ივნისის №38 ბრძანებით დამტკიცებული გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს საქმიანობის წესის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის N98 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის N24 ბრძანებით დამტკიცებული სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის დებულების ცოდნა;
ე) გარემოსდაცვით საკითხებში საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება;
ვ) ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილად ცოდნა (წერის, ტექსტის ანალიზის და მეტყველების მაღალი დონე);
ზ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (MS office Word - ძალიან კარგად, Excel-ძალიან კარგად, Power Point - ძალიან კარგად) ცოდნა.

მუხლი 6. გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის ანალიტიკური სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის ანალიტიკური სამმართველოს მთავარი სპეციალისტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:
ა) უმაღლესი განათლება ზუსტ და საბუნებისმეტყველო ან ტექნიკური მიმართულებით;
ბ) გარემოსდაცვითი კუთხით საჯარო სამსახურში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში ან კერძო სექტორში მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება;
გ) მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
დ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,გარემოს დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის №31 ბრძანებით დამტკიცებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 14 მაისის №28 ბრძანებით დამტკიცებული ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის №32 ბრძანებით დამტკიცებული დამოუკიდებელ ექსპერტთა რეესტრის შესახებ დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის №33 ბრძანებით დამტკიცებული დამოუკიდებელ ექსპერტთა შრომის ანაზღაურების წესის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 3 ივნისის №38 ბრძანებით დამტკიცებული გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს საქმიანობის წესის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის N98 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის N24 ბრძანებით დამტკიცებული სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის დებულების ცოდნა;
ე) ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილად ცოდნა (წერის, ტექსტის ანალიზის და მეტყველების მაღალი დონე);
ვ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (MS office Word - ძალიან კარგად, Excel-ძალიან კარგად, Power Point - ძალიან კარგად) ცოდნა.

მუხლი 7. გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის ანალიტიკური სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის ანალიტიკური სამმართველოს უფროსი სპეციალისტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:
ა) უმაღლესი განათლება ზუსტ და საბუნებისმეტყველო ან ტექნიკური მიმართულებით;
ბ) გარემოსდაცვითი კუთხით საჯარო სამსახურში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში ან კერძო სექტორში მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება;
გ) მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
დ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,გარემოს დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის №31 ბრძანებით დამტკიცებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 14 მაისის №28 ბრძანებით დამტკიცებული ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის №32 ბრძანებით დამტკიცებული დამოუკიდებელ ექსპერტთა რეესტრის შესახებ დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის №33 ბრძანებით დამტკიცებული დამოუკიდებელ ექსპერტთა შრომის ანაზღაურების წესის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 3 ივნისის №38 ბრძანებით დამტკიცებული გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს საქმიანობის წესის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის N98 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის N24 ბრძანებით დამტკიცებული სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის დებულების ცოდნა;
ე) ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილად ცოდნა (წერის, ტექსტის ანალიზის და მეტყველების მაღალი დონე);
ვ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (MS office Word - ძალიან კარგად, Excel-ძალიან კარგად, Power Point

- ძალიან კარგად) ცოდნა.